# ივერია

№ 247 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 247

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 ,, | 1 ,, | 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


დაობლებული შვილები **ნესტორ ახვლედიანისა სერგეი** და **ნიკოლოზ** ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 31 ოკდომბერს, დილის 12 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის და 28 ოკდომბერს დაკრძალულის

## ნესტორ ახვლედიანის

სულის მოსახსენებლად.

---

## გაზეთი „ივერია“

1-ლ ნომრებიდგან წლის დამლევამდე ჭღირს **2** მან. **75** კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

---

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, სალამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—24).

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 29 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ნ ე რ ო ნ ი

მუსიკა რუბინშტეინისა.

**მონაწილეობას მიიღებენ**: ქ-ნნი ვიკშემსკისა, დიმიტრიევა-პოკასოვსკისა, ტულლერი, შიხუცკაია-მიჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბაჟენოვი, დონსკოი, პოლუიანოვი, დემიანენკო, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი. კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 30 ოკდომბერს,

მე-4 «გალა» წარმოდგენა.

ქ-ნ ვ. პ. ანტონოვას მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

M-lle **ფ ი ფ ი**

ოპერა 1 მოქმედ. მუსიკა ც. კიუისა.

II

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა როსინისა.

---

კვირას, 31 ოკდომბერს,

ბენეფისი და გამოსამშვიდობებელი წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

I

## ლ ა კ მ ე

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა დელიბასი.

II

## დ ი ნ ო ჰ ა

მუსიკა მეიერბერისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «**ფენელლი**», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ობერისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

---

## ტფილისის საკრებულო

(სობრანიე)

შაბათს, 30 ოკდომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების სასარგებლოდ, წარმოდგენილი იქმნება

I

## პ ე დ ა გ ო გ ე ბ ი

კომედია 3 მოქმ., თხზ. ერნსტისა, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.

II

დარისპანის გასაჭირი

სცენები 1 მოქმ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**დასაწყისი სალამოს 8 საათზედ.**

მზადდება **წარმოსადგენად**: «იულიოს კეისარი», «ღალატი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია.

მორიგე რეჟისორი ვ. აბაშიძე.

---

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თ ი თ ო მ ა ნ ე თ ი ს გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა

კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი**: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ».

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქქრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

---

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

---

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ სადამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

---

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**დიასამიძე ალექსანდრე**,—დორისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და სადამოთი 6—8-დე.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

ვისი ნაღმიანი გემი იყო სამხრეთ ზღვაში? ინგლისის გაზეთები ხმას ავრცელებენ, ვითომც ადმირალმა როჟესტვენსკიმ თავისი საკუთარი ნაღმოსნები შეცდომით იაპონელებისათ მიიღო და ზარბაზნები რუსეთის გემებს დაუშინაო. ლონდონელი კორესპონდენტი ფრანგულ გაზეთ «მატენს» ბეჯითად არწმუნებს, რომ ეს სწორედ ასე იყოვო. როგორც გაზეთი «ნოვოსტი» გადმოგვცემს კორესპონდენტის აზრს, აი საქმე როგორ უნდა ყოფილიყო: როდესაც მთელი ბალტიის ესკადრა დანიის ზღვას გასცდა, ადმირალმა სამ რაზმად გაჰყო იგი. ნაღმოსანთა რაზმი უნდა წასულიყო შერბურგს, ჯავშნიანი გემები ვიგოს, ხოლო კრეისერები ტანჟერს. ჯერ ნაღმოსნების რაზმი დაიძრა. მათ შემდეგ გაუდგა გზას ჯავშნიანი გემები და სულ ბოლოს—კრეისერები. ამ წესით უნდა ევლოთ, მაგრამ ნავთსადგურ დუვრთან აღმოჩნდა, რომ ეს წესი ვერ დაეცვათ გზაში: წინ მიდიოდნენ ჯავშნიანი გემები, ხოლო ნაღმოსნები უკან ჩამორჩენილიყვნენ. ალბად ნაღმოსნებს გზა აერიათ და როდესაც ადმირალ როჟესტვენსკის ჯავშნიანი გემები დაინახეს, მარტო მაშინ ჩადგნენ კვალში და მოუმატეს სიარულს, რომ გაესწროთ ჯავშნიანებისათვის, რომ აღედგინათ წინანდელი წესი. ადმირალის ანგარიშით, მისი ნაღმოსნები თითქმის ას ორმოც-და ათის ვერსით წინ უნდა ყოფილიყვნენ, და მაშასადამე ეს უთუოდ მტრის გემებიაო, მით უმეტეს, რომ პირველად გამოჩნდა მხოლოდ ორი მოწინავე გემი, დანარჩენები შორს იყვნენ და არა სჩანდნენ. ასტყდა ზარბაზნების სროლა, რის შედეგიც იყო ერთის ნაღმოსნის დაღუპვა, მეორის დაზიანება და აგრეთვე მეთევზეთა უბედურება. თუ ეს ტყუილია, აბა მაშ გამოიძიონ, რამდენი ნაღმოსანი გემი ჩავიდა ნავთსადგურ ვიგოში, რამდენი აკლია მათს რიცხვს და რამდენს აჩნევია მორტყმულ ყუმბარის ნიშანიო. ამავე აზრისაა გაზეთი «დეილი ქრონიკლ»-ი. იგი სწერს: ამ უბედურობის დროს რუსეთის გემებმა ექვსი ყუმბარა თავიანთ კრეისერებს და ნაღმოსნებს მოახვედრეს. დაიჭრა ერთი მღვდელი და ერთიც მატროსი, ზარბაზანი მოჰხვდა კრეისერ «ავრორას» და ზიანი შეამთხვია, ხოლო ჯავშნოსანს «ალექსანდრე III»-ეს ქვაბები გაუფუჭესო. რუსეთის გაზეთები ერთობ უარსა ჰყოფენ ამ ამბავს და საზიზღარ ჭორათ მიაჩნიათ ამისთანა ხმები. (ნოვ.).

—

**რაოდენობა დახოცილთა და დაჭრილთა სხვა და სხვა ომში.** მართალია, დიდია რაოდენობა დახოცილთა და დაჭრილთა რუსეთ-იაპონიის ომში, მაგრამ არც ისე დიდია, რომ გასაკვირველი იყოს. სხვა ომებში ნაკლები ხალხი არ დახოცილა. 22 წელიწადში, მაგალითად, საფრანგეთს ომში დაეხოცა 2 მილიონი კაცი. ეს იყო 1793—1815 წ.წ.

აი რამდენი კაცი დაჰკარგა ნაპოლეონმა ცხრა ომში:

აუსტერლიცას,—1805 წ. დაიჭრა და და დაიხოცა 25000. იენას—1806 წ. 17,000 კაცი, ეილაუს—1807 წ. 42,000 კაცი. ფრიდლანდს—1807 წ. 34,000 კაცი. ეკმიულს—1809 წ. 15,000 კაცი, ვაგრამას—1809 წ. 44,000 კაცი, ბოროდინოს 1812 წ. 75,000 კაცი, ლეიფციგს—1813 წ. 92,000 კაცი, ვატერლოოს—1815 წ. 42,000 კაცი.

საზოგადოდ ამ ომებში დაიჭრა და დაიხოცა მესამედი თუ მეოთხედი ნაწილი მთელის ჯარისა. ამ ვარაუდით, მანჯურიაში უნდა იყოს დაჭრილი და დახოცილი არა ნაკლებ 150,000 კაცისა, თუ არ კიდეც მეტი.

ესპანიაში ალბუერის ბრძოლის დროს ინგლისელებს დაეხოცათ ასზედ 65 კაცი. ყირიმის ომმა შეიწირა ორივ მხრივ 480,000 კაცი, თითქმის ნახევარ-მილიონი. ზანგთა განთავისუფლებისათვის ომი დაუჯდათ ამერიკელებს 600,000 კაცად. 10 წუთში დაეხოცა გრანტს 10,000 კაცი.

ავსტრია-პრუსიის ომი შვიდს თთვეს იყო, მაგრამ ზარალი ნაკლები არა ჰქონდათ, ვიდრე რუსეთ-იაპონიას იმავე 7 თვის განმავლობაში. კვირაში იხოცებოდა 8000 კაცი. უმთავრესი ომი კენიგრეცთან იყო, მონაწილეობა მიიღო 417,000 კაცმა და ტყვიამ დააზარალა 26,000 კაცი.

ფრანგ-პრუსიელთა ომმა 1871 წ. გასტანა 7 თვეს. მონაწილეობას იღებდა 1 მილ. გერმანელების ჯარი და 710,000 ფრანგი. დაიჭრა და დაიხოცა 371,751 კაცი.

უფრო დიდი ომი იყო ამ დროს გრაველოტის ომი, რომელშიაც ფრანგებმა დაჰკარგეს 28,500 კაცი, ხოლო გერმანელებმა 20,100 კაცი. აგრეთვე პარიჟთან, ფრანგებს დაეხოცათ 30,000 კაცი, გერმანელებს 13,300. ეს ომები ერთს დღესა თავდებოდა და ამოდენა ზარალი კი მოჰქონდა.

რუს-ოსმალეთის ომმა ბევრი ხალხი არ შეიწირა შედარებით. სულ ამ ომში დაიხოცა 200,000-მდე კაცი. უფრო დიდი ზარალი პლევნაში იყო. (პ. ვ.).

—

**ინგლ. მზადება.** «დეილი ტელეგრაფის» კორესპონდენტი სწერს დეპეშით, რომ ვეი-ჰაი-ვეიში დიდი მზადება აქვთ ინგლისელებსაო. საომარ ფეხზედ აყენებენ ესკადრას. ინგლისის აფიცრები ძალიან იყვნენ აღელვებულნი, როცა გაიგეს ჩრდილოეთ ზღვის დრამის ამბავი და შესაბამი ღონისძიებიც მიიღეს. ელექტრონის პროჟექტორები მთელის ღამობით ანათებს ნავთ-სადგურს, საცა დიდი ტკაცა-ტკუცი და მუშაობაა. ახლა კი აქაც დამშვიდდნენ, მაგრამ ადმირალმა ნოკლმა მაინც ჩაიბარა უფროსობა ესკადრისა. ვეი-ჰაი-ვეიში გადასწყვიტეს და ღონისძიებაც მიიღეს, რუსთა გემებმა თავი არ შეაფარონ იქ, თუ ვინიცობაა პორტ-არტურიდან გავიდნენ. (რ. ვ.).

—

**მარშალ ოიამას განზრახვა.** როდესაც ოიამამ დაიჭირა ლიაოიანი და მისი მიდამოები, თითქმის მთელი ერთი თვე მოახმარა ჯარების შევსებას და საომარ მასალის მოგროვებას. როდესაც ჯარებმა შეისვენეს და წელში გაიმართნენ, ოიამა დაიძრა ზევითკენ მუკდენის ასაღებად. ამ საქმესაც იმ ხერხით შეუდგა, როგორითაც დაინარჩუნა მან ხაიჩენი და ლიაოიანი, ე. ი. თავისი სამი არმია სამ გზაზედ დააყენა, მათში ერთი შუაგულს უნდა დასცემოდა მოწინააღმდეგისას, მეორეს მარჯვენა ფრთისთვის შემოევლო და მესამეს მარცხენასათვის. ომში ძალიან დიდს საფრთხეს წარმოადგენს მოწინააღმდეგის ფრთების შემოვლა და მიზეზიც სწორედ ამ საფრთხის შიში იყო, რომ ჩვენი ჯარი ამისთანა შემთხვევებში სულ უკან-უკან იწევდა, რომ თავის თავისათვის ეშველნა და უკან დახევა გაეადვილებინა. ამავ გეგმას დაადგა მარშალი ოიამა შესახებ მუკდენისა. აქაც შუა არმია მოისწრაფოდა ჩვენის ცენტრისაკენ სარდალ ნოძუს მეთაურობით, მარცხენა ფრთე ეჭირა ოკუს და იმ სიშორით მოდიოდა, რომ ჩვენთვის შემოევლო გვერდიდან, სარდალი კუროკი ხომ სულ მარჯვენა ფრთისაკენ არის ხოლმე. თითქმის საქმე საქმეზედა ჰქონდა მოყვანილი მარშალ ოიამას და ხმებიც დადიოდა, რომ რუსის ჯარმა ძალა-უნებურად თავი უნდა დაანებოს მუკდენს, თვით ტელინსაც კი და ხარბინისაკენა ჰქმნას პირიო. მაგრამ ამ დროს ჩვენმა მთავარსარდალმა მოიკრიბა ძალა და თვითონ მიიტანა იერიში მტერზედ. მართალია, ამ იერიშისა დიდი იმედები აღგვეძრა, ვფიქრობდით, რომ არა თუ ლიაოიანს დავიბრუნებთ, არამედ თვით ტანჯულსა და წამებულს პორტ-არტურსაც გამოვიხსნით საშინელი მტრის კლანჭებისაგანაო; მართალია, ყოველივე ეს არ გაგვიმართლდა, მტერმა ჩაგვიფუშა ეს იმედები და პორტ-არტურის გამოხსნისათვის მივმართეთ ბალტიის ესკადრას, მაგრამ ის მაინც მოვახერხეთ, რომ მტერსაც ჩავუშალეთ განზრახვის შესრულება და შევაყენეთ აგერ თვეზედ მეტი ხანი. ეხლა, როგორც ჰფიქრობს გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ., მარშალი ოიამა კიდევ შეუდგა ამ შეფერხებულ განზრახვის შესრულებას. მოწინააღმდეგენი დღეს მდინარე შახეს პირებზე დგანან. ერთმა რომ დაიწიოს უკან, მეორე მაშინათვე მის სიმაგრეებს დაიჭერს და წინ გაიგდებს მტერსა. ამიტომ მათი დაძვრა ადგილიდან და ჯარების გადასვლა-გადმოსვლა შეუძლებელია ფარულად მოჰხდეს, ერთმანეთის მოძრაობა ჩინებულად იციან. მხოლოდ ეხლა საქმე იმაშია, საჩვენებლად რომ არა ჰხდება ეს მოძრაობა. მაგალითად, ამ ბოლოს დროს იაპონელთა ჯარები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადადიან. ეს აშკარაა ჩვენთვის, მაგრამ იქნება ღამ-ღამობით ამაზედ ერთი-ორად მეტი ჯარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადმოჰყავნდეთ? ამას ვერავინ გაიგებს. მხოლოდ ერთი რამ კი აშკარაზედ აშკარაა, რომ, როგორც მარშალმა ოკუმ, აგრეთვე გენერალმა კუროკიმ ისე გაიწიეს აქეთ იქით, რომ ორსავ მხრიდან უპირობენ ჩვენის მარცხენისა და მარჯვენა ფრთების შემოხვევას. ამავე დროს იმოდენა მაშველი

ჯარი მოუვიდა ოიამას, რომ მისი შუაგული არმია მარშალ ნოძუსი მეტად გამაგრებული და გაძლიერებულია, ასე რომ დანარჩენის ორის არმიის გაწევა გვერდებისაკენ ვერ შეასუსტებს მას იქამდე, რომ მტრის ცენტრი გაარღვიოს ჩვენმა ჯარმაო. (რუს. ვედ.).

## ახალი ამბავი

**თანაგრძნობა აკაკისადმი.** თთ.-დნი თარხნიშვილნი გვწერენ დეპეშით, დიდად შეგვაწუხა ძვირფასის აკაკის ავადმყოფობამაო. გადაეცით დაუფასებელს ავადმყოფს ჩვენი გულ-წრფელი თანაგრძნობა; ვუსურვებთ მალე განკურნებასა.

*** **† ნესტორ გიორგის ძე ახვლედიანი.** ამ თვის 24-ში სამეგრელოში გარდაცვლილა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი ნესტორ ახვლედიანი, რომელიც სამოციან წლებიდან ახლო მონაწილეობას იღებდა ყველა ჩვენებურს საქმეებში და მის ოჯახში ხშირად ბევრი საზოგადო საქმე დაწყებულა. განსვენებული უცხო არ იყო მწერლობაშიაც, მისი წერილები ხშირად იწერებოდა „დროებაში“. მანვე შემოიღო პირველად ჩვენში რაციონალური წველა-დღვება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობა. კერძოდ ტკბილი მოსაუბრე და მახვილი გონების კაცი იყო და, უეჭველია, მრავალს მის ნაცნობ-მეგობრებს დაწყდება გული მისის ასე მოულოდნელის გარდაცვალებით. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

*** **ტფ. პოლიცმეისტერმა** წარუდგინა მოხსენება საგუბერნიო საქალაქო ბეგრის საკრებულოს იმის თაობაზედ, რომ ის დაბალი ჯარი კაცნი, რომელთაც უკვე უმსახურნიათ და მიწერილნი არიან მოქალაქეთა საზოგადოებაზედ, უარს ამბობენ ყოველსავე გარდასახადზე და ხელზედ იმას იხვევენ, რომ ჩვენ პოლკებში გვიმსახურნია და მოვალენი არა ვართ ბეგარა გადავიხადოთო. ქალაქის საბეგრო საკრებულომ განიხილა ეს მოხსენება და დაადგინა,—უმართებულესის სენატის განკარგულებით, ჯარის კაცად ნამსახურნი თავისუფალნი არიან მხოლოდ საერობო და სახელმწიფო გარდასახადებისაგან, ხოლო რაც შეეხება საზოგადოების ხარჯებსა და გარდასახადებს, ეს კი უთუოდ უნდა იხადონ, რადგან ეს გარდასახადები მოქალაქეთა საზოგადოების შენახვას უნდებაო. ამიტომ მისწერა ტფილისის პოლიცმეისტერს, ასწეროს იმათი ქონება და იმ ხარჯებისა დაგვარად, რაც მათზეა გაწერილი, დაუჭიროს შემოსავლიდგან. ამასთანავე საკრებულო სთხოვს პოლიცმეისტერს, მომავალშიაც უმართებულესის სენატის ამ ბრძანებით ხელმძღვანელობს.

*** **თომა [illegible] მოკვლის მიზეზის** გამოსაკვლევად, როგორც «ნოვ. ობ.»-ს ატყობინებენ, გადაწყვეტილია, რომ ახლო მომავალში განსვენებულის გვამი ამოიღონ მიწიდგან.

*** **ზედამხედველობის დაწესება მატარებლებზედ.** გუშინიდგან სად. გუმბრზედ (ალექსანდროპოლი) სასანიტარო ზედამხედველობა დაწესდა მატარებელზედ № 95; ამის გარდა, იმავე სადგურზედ დაწესდა სანიტარული ზედამხედველობა სამგზავრო-საქონლის მატარებელზედ № 92; ამ მატარებელს სინჯავენ სად. კარაკლისზედაც.

*** **სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის დადგენილებანი.** გუშინ-წინ, 27 ოკდომბერს, კრება ჰქონდა ტფ. სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს იმის თაობაზედ, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რომ მოვაჭრეებმა სანოვაგე ნიხრითა ჰყიდონ. სავაჭრო პოლიციის აგენტებმა სასურველად სცნეს შემდეგი ღონისძიებანი: 1) მოიწვიოს ქალაქის გამგეობამ მოხელენი, რომელთაც დაევალოთ მხოლოდ ნიხრის თვალყურის დევნება; 2) ყველა მცხოვრებს ტფილისისას, რომელთაც გაზეთები მისდით, გაეგზავნოთ დაბეჭდილი ნიხრი, რომ იცოდნენ, თუ რა სანოვაგე რა ფასებში იყიდება; 3) დაევალოს მოვაჭრეებს, რომ ნიხრი თვალსაჩინო ადგილასა ჰქონდეთ გამოკიდული; 4) დაწესდეს ბლანკები, ღია წერილის მაგვარი, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა რაიმე უწესობა ან უთანხმოება მოჰხდა, საჩივარი დასწერონ და ფოსტის ყუთის შემწეობით გაუგზავნონ ქალაქის გამგეობას და სხვ.

*** **ნავთის მრეწველთა კრება.** მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო, რომ 23 ნოემბრისათვის მოწვეულ იქმნას ბაქოში იქაურ ნავთის მრეწველთა მე-XIX მორიგი კრება.

*** **დანაშაულის პატიება.** კავკასიის მთავარმართებელმა შესაძლოდ სცნო, სასჯელი ეპატიოს შტაბს-კაპიტანს ი. კ. ტერ-სარქისოვს, რომელსაც ადმინისტრატიულის წესით კავკასიაში ცხოვრება აღკრძალული ჰქონდა. (ნოვ. ობ.).

*** **ახალი წიგნი.** რედაქციას მოუვიდა ახალი ქართული წიგნი «თხზულებანი ალ. ყაზბეგისა» (ა. მოჩხუბარიძე), ავტორის სურათითა და დ. კარიჭაშვილის-მიერ შედგენილ ბიოგრაფიით. წიგნი ძლიერ სუფთად და ჩინებულადაა გამოცემული, დიდის ფორმატისაა (7 სტამბური კვადრატია სიგანე) და შეიცავს 1204—XXXV გვერდს. ამ წიგნში მოთავსებულია როგორც ყველა რომანები და წვრილი მოთხრობანი, აგრეთვე დრამატიული ნაწარმოებნიც. წიგნი პრემიად მოჰყვა «მოამბე»-«ცნობის ფურცელს».

*** **სამხედრო საკრებულოში.** როგორც ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოს ანგარიშიდგანა სჩანს, კენჭის ამოსაღებად და ექიმის გასასინჯად არ გამოცხადებულან 100 კაცამდე. პოლიცია დაეძებს არ გამოცხადებულთ და პირდაპირ საკრებულოში არიდგენს ჯარში გასაყვანად. ამ მიზეზით წელს დაჰკლებია 34 კაცი.

*** **სათადარიგო პრაპორშჩიკთა გასინჯვა.** გუშინ, 28 ოკდომბერს, სამხედრო საბეგრო საკრებულოში ექიმებმა შეამოწმეს ოთხი სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკი, რომელნიც ნამდვილ სამსახურში იქმნენ მიწვეულნი; ერთი მათგანი ტყვიით დაჭრილი აღმოჩნდა, დაუჭრიათ თურმე 1902 წელს ჩაქვასთან ყაჩაღების თავ-დასხმის დროს, ხოლო სამი მათგანი ჯანმრთელად იცნეს და მხოლოდ დაჭრილს გასინჯავენ ხელმეორედ სამხედრო საავადმყოფოში.

*** **სტიპენდია პეტერბ. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში.** ტფ. გუბერნატორის წინადადების თანახმად, ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ, 28 ოკდომბერს, დაადგინა, სთხოვოს სასწავლებელთა კომისიას, შეიმუშაოს პროექტი პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში პეტრე დიდის სახელობის სტიპენდიის დებულებათა, რომელიცს შემდეგ საბჭოს მოხსენდება. სტიპენდიანტს წელიწადში მიეცემა 480 მან.

*** **ქუჩების მომკირწყლველ კომისიის** თავმჯდომარემ ა. ი. ფლორინსკიმ სამსახურს თავი დაანება. ქალაქის გამგეობამ გუშინ, 28 ოკდომბერს, დაადგინა, სთხოვოს გამგეობის წევრს ტ. ა. ენფიანჯიანც, იკისროს ამ კომისიის თავმჯდომარეობა, ვიდრე სხვა თავმჯდომარეს აირჩევდნენ.

### კიდევ მოწაფეთა დათხოვნაზედ.

მრავალი იწერება, — სასწავლებლის ფულის შეუტანლობისა გამო ამა და ამ სკოლიდგან—ამდენი და ამდენი მოწაფე დაითხოვესო. ამ უბრალო სიტყვებში დიდი ვარამი და ჭირი გამოიხატება—ჯერ მშობლებისთვის და შემდეგ ბავშვებისთვის, რადგანაც პირველებმა სარჩო-საცხოვრებელი ვამოიღეს, მოამზადეს და დიდის გაჭირვებით დააბინავეს სკოლაში შვილები; მეორეებმა კი წელებზე ფეხი დაიდგეს,—მდაბიურად რომ იტყვიან,— კონკურსში გაიმარჯვეს, რადგანაც ერთს თავისუფალს ალაგს სკოლაში ათი ექიშვებოდა, და აი ახლა რამდენისამე მანეთის გულისათვის უნდა მოსწყდნენ თავიანთ სურვილს და დარჩნენ უადგილოდ მომავალ ცხოვრებაში. ვაჰ, როდის გვეშველება ქართველებს რამე? ახლა მკითხველებს უნდა ვაცნობო შემდეგი დიდი უბედურება, რომელიც მოელით ქართველ მოწაფეებს, რომლებიც იყვნენ პანსიონერებად სათავად-აზნაურო სკოლაში. ნამდვილად შევიტყეთ, რომ პირველ ნოემბრიდან ორმოცამდე ბავშვი იქმნება პანსიონიდგან დათხოვნილი, რაკი ყველა მშობლებზედ დარჩენილი არის შემოსატანი ფული წინა წლებისა. ან უნდა ერთბაშად შეავსოთ დანარჩენი (ნედოიმკა), ან დათხოვნილ იქმნებიან ბავშვებიო; ზოგი მეშვიდე კლასიდგან, ზოგი მეექვსიდგან, მეოთხიდგან და სხვა. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ არც მშობლები არიან დამნაშავენი, არც მოწაფენი, მხოლოდ დიდი დანაშაული მიუძღვის სკოლის გამგე კომიტეტს.... ბევრზე ასი თუმანია დარჩენილი, სამოცი, ორმოცი და ოცი ხომ ხშირია. რას ჰფიქრობდა გამგე-კომიტეტი, რომ ასე აქუჩებდა გარდასახადს? საწყალი, გაღარიბებული თავად-აზნაურობა როგორ გარდაიხდის ასსა და ორმოც თუმნებს; უნდა გაუყიდონ, რაც აბადიათ, მეტი ჩარა არ არის. კომიტეტს ჰქონდა ნება, როცა ათი თუმანი დარჩა მშობლებზედ ბავშვების შესანახავი, მაშინ როგორმე ენაზღაურნა; თორემ ახლა, სხვა არა დარჩენიარა, რომ... წაშალოს ის ციფრები, რომელიც არის გამოხატული სკოლის შემოსავლის წუსხაში. ესეც ერთი მაგალითი ქართველების დაუდევრობისა, და ისეთის ქართველებისა, რომელნიც ცხოვრებაში განვითარებულებად და განათლებულებად ირიცხებიან!...

სოსიკო თარხნიშვილი.

## საქართველო

**გურია. მოსავალი.—მოკვლის განზრახვა.—გუბერნატორის მოგზაურობა.** სიმინდის ტეხა და ყურძნის დაკრეფა გათავდა დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლაიით. მოთავდა რთველი და ცოტა ხანს დარებიც დადგა, თუმცა მანამდის ისეთი წვიმა და ავი დარი იყო, რომ ტალახში ტოპვით აგროვებდნენ მოსავალს. თუ წვიმს—ტალახში ვიხრჩობით, თუ გამოიდარა—სიცივე გვაწუხებს. ასეთი არეული ამინდი სწორედ არ მახსოვს. სამაგიეროდ, ხალხის ცხოვრებაშიაც ასევე ჰხდება—აღარ იციან რა საშუალებას მიჰმართონ, რომ დააღწიონ ათას ნაირ გაჭირვებისაგან თავი. არის ერთი ნაღიების წვა და მტერევა, ღობეების რღვევა და სახლებში თოფების გრიალი. კაცის კვლა ხომ ორი ერთ შაურად გახდა. ამ თვის შუა რიცხვებში ვიღაცეებმა დაბ. ჩოხატაურის ბაზარში თოფი ესროლეს დ. შევარდნაძეს და ორ ალაგას დასჭრეს —ხელსა და მკლავში. მსროლელთა ვინაობა ვერც გაიგეს და ვერ ის, თუ საიდგან მოსული საით წასულა. ამბობენ, შევარდნაძემ გაქცევით უშველა თავს, თორემ ცოცხალი არ გადარჩებოდა, ისე დაუშინეს თოფებიო.

ერთ კვირაზე მეტია, გუბერნატორი მოგზაურობს გურიის სოფლებში და ნახულობს იქაურ სასამართლოებსა და ხალხის ყრილობებს, და ხალხს დარიგებას აძლევს.

თანი.

## ჩვენებური რამე-რუმე

**უბადრუკობა.** ყოველი ერი თავის სამშობლო ენის აღყვავებისათვის ოცნებობს. ყველას სწამს სამშობლო ენის სიდიადე; ყველა უყვარს ის ენა, რომელიც შეთვისებულია ტკბილ დედის რძესთან ერთად; ყველას აფასებს სამშობლო კერას, ყველა შესტრფის და შეჰხარის სამშობლოს ბედნიერებას.

ჩვენ?!! ჩვენ მოკლებული ვართ ამ თვისებას, ჩვენში არ არის დიადი მშობლიური გრძნობა, ჩვენში გამქრალია საკუთარ დედის სიყვარული, ათვალწუნებული და დამცირებულია ყოველივე მშობლიური!!

ბურჟუა ქართველის ოჯახში ძვირად ჰნახავთ ქართულ გაზეთს, ქართულ ჟურნალს, ქართულ წიგნებს.

შეძლებული ქართველი გაურბის ყოველსავე ქართულს. არა სწამს, არ უყვარს მშობელი დედა და სხვას ეთაყვანება. ამას წინად ერთ ქართველ წვრილფეხა ბურჟუას ოჯახში ვიყავ. ეს ბურჟუა არ არის მაინც და მაინც რუსულის მცოდნე, არ არის განათლებული, მაგრამ მაინც მის ოჯახში აუარებელი რუსული გაზეთები ეყარა და არც ერთი კი ქართული!!! ბურჟუამ აიღო ხელში რუსული გაზეთი და ვითომც კითხვა დაიწყო: რუსულს ისე აწამებდა, ისე სტანჯავდა, როგორც ურიები ქრისტეს. იმის კითხვას ვერც თავს გაუგებდი და ვერც ბოლოს! შევეკითხე, რატომ ქართულ გაზეთს არ იწერთ, მეტის-მეტად გიძნელდებათ რუსული კითხვა, და მომეტებულად ხომ საძნელო იქნება თქვენთვის წაკითხულის შინაარსის გაგება?! ბურჟუა გაბრაზებული წამოვარდა და შემომყვირა: «იცი შენ, არაფერი არ ჰყრია ქართულ გაზეთებში!!!» რა უნდა მექნა; გავჩუმდი, როდესაც

## ფელეტონი

### თხზულებანი ია ეკალაძისა.

(კრიტიკული განხილვა).

შემდეგი *)

#### III

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ მეტად შორს გადავცდი საგანს; დავუბრუნდეთ ისევ ბ-ნ ეკალაძეს.—ეს ახალგაზრდა ბელეტრისტი თავის ნორჩის ნაწარმოებით არ წარმოადგენს რაიმე დიდ მოვლენას ჩვენს მწერლობაში და არც გამოსულა ასპარეზზედ ამ გვარი პრეტენზიით. იგი არ ბრწყინავს დიადის ცოდნით, ზენაარ ნიჭით და შემოქმედებით, ღრმა ვნება-ემოციით, ან ტიტანურ ენერგიით და ნება-ხასიათით. არა, იგია საკმაოდ ნიჭიერი კაცი და ერთგული მუშაკი ცხოვრების და მწერლობის სარბიელზედ, მუშა პატიოსანი, გრძნობიერი და კეთილ აზრ-სურვილებით გამსჭვალული. ეკალაძე არაა ის მძლავრი ჩანჩქერი მწერლობისა, რომელიც აბრუნებს ტურბინებს და ჰქმნის ელექტრონს, არა, ისაა მშვიდი ნაკადული, ხან მომღერალი, ხან კი მკვნესარე თავის პაწია კალაპოტში.

ვინ არიან ბ-ნ ეკალაძის გმირები? ისინი არიან ცოლის მტანჯავი მასწავლებელი, ქმრის მოძულე-მოღალატე ცოლები, ჩარჩი სომხები, ღარიბი უბნელები, სასტიკი მღვდელი, კოპწია ქალები, უმეცარი დედები და ჩვრად ქცეული ქმარი. მაგრამ ამათ გარდა ავტორს ჰყავს გამოყვანილი ორს შვენიერ მოთხრობაში ქრისტე და იუდა. მას ჰყავს კიდევ დასურათებული ერთი საინტერესო ქალის ტიპი თეო. ავტორი არ სჯერდება ამათ. ის იღებს ჩანგს და ურითმო ლექსებით შესჩივის და უგალობს ხან ცასა და ზღვას, ხან მთასა და ტყეს, ხან კი მფარველ ანგელოზს. არის კიდევ ერთი საგანი, ერთი გმირი, რომელიც ყველაზედ უფრო უყვარს ავტორს, რომლის დახატვას ყველაზედ უფრო ცდილობს იგი. ვინაა ეს მისი უსაყვარელესი გმირი? ისაა საშუალო სწავლა მიღებული და შემდეგ თავის შრომით განვითარებული პატიოსანი და გრძნობიერი ახალგაზდა. იგი ჰკიცხავს თანამედროვე წესსა და ცხოვრებას, მას სურს შრომა, მოქმედება და ხალხის სამსახური, მაგრამ მის სურვილებს ახშობენ სიღარიბის და საზოგადოების უგულობის ხუნდები; მის ოცნება-მიზნებს ფრთებს აკვეცენ ოჯახი და ცოლშვილი. ეს გმირია ილიკო, ზურა, ტიმოთე და გენო, ერთი და იგივე პირი ოთხის სახელით და სხვა და სხვა პირობაში. ილიკო ახლად გამოდის ცხოვრებაში; ის ისევ სცურავს იდეალების ბურანი; ზურა ტეტიათა მოტრფიალეა, სოფლის ქომაგი; ტიმოთე კი დაუდეგარი, ცხოვრების მეპროტესტე, და გენო ცოლ-შვილით დატვირთული, ლუკმა პურის მაძიებელი. ვინ არიან ეს ტიპები? ესენია უდიპლომო ახალგაზდები, უბილეთო-უპატენტონი, რომელთაც არა აქვთ ალაგი ცხოვრების სუფრაზე და იძულებულნი არიან დასჯერდნენ ნასუფრალს, რომ შიმშილით არ მოკვდნენ; ესენი არიან ნასწავლი პროლეტარები, ბოგანო ინტელიგენტები. ეს ტიპი ევროპა-რუსეთში ძლიერ ხშირია; ეს ტიპი გახშირდა ჩვენშიაც, მეტადრე ამ ბოლო დროს, სადაც სკოლის რუტინა-ტენდენციის და არეულობის გამო იძევებიან სასწავლებლიდან ბევრი ნიჭიერი და მშრომელი ახალგაზდები. ეს ყმაწვილები იყოფიან სამ ჯგუფად: პირველია დიდი უმეტესობა; ესენი არიან საშუალო ადამიანები, რომელნიც ურიგდებიან გარემოებას, ძვრებიან სხვა და სხვა საქმეებში, მაგ. რკინის გზაზე, კანტორებში, სახელმწიფო უწყებებში, ვაჭრობა-მრეწველობაში, ან მიდიან მღვდლებად, სოფლის მასწავლებლებად და ჩუმდებიან, რაკი იშოვნეს ლუკმა პური. მეორეა უმცირესობა; ესენი არიან ნიჭიერი და ფხიზელი ყმაწვილები, რომელნიც ვერ ურიგდებიან ცხოვრებას, სწყურიანთ ცოდნა, სურთ შრომა და ხალხის სამსახური, მაგრამ არა აქვთ იმდენი ძალა და მომზადება, რომ სძლიონ სიღარიბეს, გაჭირვებას, ცხოვრების ხუნდებს და მიაღწიონ მიზანს. ბევრი მათგანი ეფლობა თან და თან ცხოვრების ჭაობში, ხშირათ ცოლ-შვილით დატვირთული და კვდება სულით და ხორცით. ზოგიც უძლებს როგორცაა ტანჯვებს, გაჭირვებას, რჩება ცოცხალი სულიერად, ხორციელად და სწორედ აქაა მათი საშინელი დრამა! აი ამგვარი ტიპი დაგვიხატა ზურა-ილიკოში და გენო-ტიმოთეში ბ-მა ეკალაძემ. ავტორი შეეხო ამ ტიპის ცხოვრებას, მის სულიერ ტანჯვებს, მისის მდგომარეობის ტრაგიზმს. ბ-მა ეკალაძემ გაგვაცნო, თუმცა არა სავსებით, და შეგვძინა ახალი ტიპი, რომელსაც დღემდე ან სულ არ იცნობდა ჩვენი მწერლობა, ან იცნობდა ფრიად ბუნდოვანად. ამაშია ბ-ნ ეკალაძის ღირსება, ამაშია მისი დვაწლი ჩვენის მწერლობის წინაშე. ეს ვერ შეიგნო, (რადგან არ სურდა), ბ-მა ზანგმა, ამას ვერ მიაგნო ბ-მა კალამმა და ამიტომ სულ ტყვილა დაღვარა მან სამს დიდ ფელეტონში ერემიას ცრემლები ჩვენის ინტელიგენციის უფერობა-უმოქმედობის შესახებ. აშორის ღმერთმა, ბ-ნ ეკალაძეს ფიქრადაც არ მოსვლია ამ თავის კრებულში დაეხატა ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი მოღვაწეები, ჩვენი მაძღარი დიპლომიანები.

იმ უდიპლომო ინტელიგენტთა შორის არის კიდევ მესამე ჯგუფი, ყველაზედ უფრო მცირე, მაგრამ ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი. ამ ჯგუფისანი არიან მიმადლებულნი დიადის ნიჭით და გენიოსობით, ძლიერის სულით, მტკიცე ხასიათით, მაღალის ზნეობით და შემოქმედობის ძალით, ღრმა გრძნობით და უსაზღვრო ენერგიით. ეჭვი არაა, ყველა ეს იშვიათი თვისებანი არა აქვს ერთად მიმადლებული სათითაოდ ყველა მათგანს; არა, ისინი განირჩევიან ერთი მეორესაგან ზოგი ნიჭით და მახვილის ჭკუა-გონებით, ზოგი ღრმა გრძნობით და ზენაარ ზნეობა-ხასიათით, ზოგიც შრომა-ენერგიით, მაგრამ საერთოდ კი ეს პირები დიდ ბუნებოვანი კაცებია, მათთანა, რომელნიც ავლებენ ცხოვრებაში ახალსა და ღრმა კვალს, სარდლობენ ერს და კაცობრიობას ყოველ გვარ სფერაში და ხალხთან ერთად ჰქმნიან მსოფლიო ისტორიას. ეს იშვიათნი არსებანი ხშირათ ვერ ურიგდებიან შკოლის მეთოდს, დოგმას და რუტინას, ან აგდებენ მათ, ან თავად გამოდიან, არა იშვიათად მდაბალ კლასებიდანაც კი, (როგორც მაგ., ლინიე და ბაკლი). ამ გვარ პირთ არც სურთ და არც აკმაყოფილებს შკოლა. ისინი თავისის ნიჭით, მხნეობით და გენიით,—ამ საოცარ იარაღ-ლამპარით, თითონ იკაფენ და ინათებენ გზას ცხოვრების ბნელ მაღნარში, ჰქმნიან ახალ აზრებს, ფორმებს და მანქანებს, ახალ სიტყვას და საქმეს, ასხურებენ ხალხს ბედნიერებას, აღვიძებენ და აახლოვებენ მას თან და თან სიმართლე-ჭეშმარიტების, სიყვარულის და შვენიერება-თავისუფლების სანეტარო და შუქ-მფინარე სფერასთან. ამ გვარი კაცები საკმაოა ევროპა-აზია-ამერიკაში, ამ გვარი კაცები არიან რუსეთში, ამ გვარი პირნი იმყოფებიან ჩვენშიაც. ეჭვი არაა, ეს უკუღმართი ცხოვრება გენიოსებს ვერ შეჰქმნიდა პაწია საქართველოში, მაგრამ საკმაოთ მოიპოვებიან ჩვენში დიდად ნიჭიერი, მხნე და მტკიცე ზნეობა-ხასიათის მქონე პირნი, რომელთაც არა აქვთ რუსის დიპლომი და ზოგს არც ატესტატიც, მაგრამ განვითარებულან შესანიშნავად თავიანთის ნიჭის და შრომის მეოხებით, (ზოგ მათგანს მიუღია ევროპიული განათლებაც კი), დაუძლევიათ ათასი დაბრკოლებანი, ჩამდგარან ჩვენის ცხოვრების სათავეში და ბელადობენ ჩვენს მწერლობას და საზოგადო საქმეებს. მართალია, ამისთანა კაცები ხან და ხან მსხვერპლადაც ჰხდებიან ხალხის და საზოგადოების უგულობა-უმეცრების და ცხოვრების მეტის მეტ სიმკაცრის გამო, მაგრამ ბევრნი მათგანი, ადრე თუ გვიან, იმარჯვებენ ცხოვრებაში, ამსხვრევენ გმირულად ყოველივე კირთებს, აღწევენ თავიანთ ზენაარ მიზანს და სანატრიონს ქვეყნის საბედნიეროდ.

ამ გვარ ტიპის აღწერა-დასურათებას ჯერ ჩვენში არავინ შესდგომია, რადგან იგი მეტად რთულია და მისი დახატვა ფრიად ძნელია.

სიმონ ქვარიანი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ივერია» № 245.

თავზედ დამდგარი ცოფიანი ბურჟუა დავინახე, თითქმის მუშტ-მომართული; ქუდი დავიხურე და გამოვშორდი მის კერას!!—დიაღ, გამოვშორდი ხმა ამოუღებლივ, და ახლა თქვენთვის მომინდვია, განსაჯოთ, ჩემს მოსაუბრე წვრილ-ფეხა ბურჟუას თავში მეტი ჰყრია, რომელმაც არ იცის რუსული და მაინც რუსულს ეტანება, თუ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, რომელიც სარკეა ჩვენის ეროვნულის ცხოვრებისა?!.

დიაღ, ჩვენთა შეძლებულთა შორის გამქრალა ეროვნული თავმოყვარეობა. ზემორე აღწერილი ბურჟუა არ არის მხოლოდ ერთი მაგალითი სამშობლო ენის აბუჩად აგდებისა, ჩვენ შორის ბევრი, ძალიან ბევრი მოიძებნება ყოველისავე გარეულის მოტრფიალე და შინაურის მგმობი; ჩვენებური გაზეთი კარგიც რომ იყვეს, ზოგიერთი ვაჟბატონები მაინც არ დაიბარებენ მხოლოდ იმისთვის, რომ ნაცნობ რუსებს ასიამოვნონ: «შემოგვხედეთ, რა ბიჭები ვართო!!»

ამ სენით ზოგიერთი ჩვენი ინტელიგენტთა წარმომადგენელიც არის შეპყრობილი. იმათ ოჯახებიდან განდევნილია ყოველივე მშობლიური; პატარა ბავშვი ქართველ ინტელიგენტისა თამამად ტიტინებს რუსულს, და მშობლიურის ენისა-კი არა გაეგება-რა. გამქრალა ჩვენში საკუთარის ღირსების დაფასება და ეს არის. ძმათა ზუბალაშვილთა მსგავსი ქართველები დიოგენის ფარნით არიან საძებნელნი, მხოლოდ, ქარაფშუტა, სამშობლო ენის აბუჩათ ამგდებნი, სხვის მოტრფიალენი და თავის არაფრად ჩამგდებნი უხვად მოიპოვებიან ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში! რის ბრალია, რისი, ჩვენის მშობლიურის ენის ჩვენგანვე დაგმობა?!

ილია ბახტაძე.

# თეატრი და ხელოვნება

—

**„ახალი მოძღვრება“, დრ. 5 მოქ. ქართულად.** ქართულის დრამის ამხანაგობის მესამე წარმოდგენამ ოთხშაბათს, 27 ოკდომბერს, დიდ-ძალს ხალხს მოუყარა თავი სახაზინო თეატრში და მით არა ჩვეულებრივი ხასიათი მისცა სალამოს. რასაკვირველია, უმთავრესი, შეიძლება ერთად ერთიც, მიზეზი საზოგადოების ასეთის «მამულიშვილობისა» ჩვენის ნიჭიერ მსახიობთა ვლ. მესხიშვილისა და ნინა ჩხეიძის მონაწილეობა იყო, მაგრამ, ასეა თუ ისე, საზოგადოების თანაგრძობა, ოთხშაბათს გამოჩენილი, სანუგეშო და საიმედოა ქართულის დრამის ამხანაგობისათვის, რომელმაც წელს ჩვენის თეატრის აწეწილ-დაწეწილი საქმე თავს იდვა და გამოკეთებას ლამობს.

ოთხშაბათს არც საზოგადოება დარჩა მოტყუებული: წარმოდგენამ თითქმის სრულის ანსამბლოთ ჩაიარა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კარგის წარმოდგენის გამართვა ქართულადაც შეიძლება, თუ საზოგადოება თავის თანაგრძნობასა და დახმარებას არ მოაკლებს და მსახიობნიც თავიანთს მოვალეობას სინიდისიერად მოეკიდებიან.

ამ უკანასკნელ გარემოების მიზეზი იყო, რომ პირველად ნათამაშევი პიესა «ახალი მოძღვრება», დრამა ბარრეტისა, რომლის შინაარსსაც მსურველი «მოამბეში» წაიკითხავს, საერთოდ კარგად იყო წარმოდგენილი და გვსურს ვიფიქროთ, რომ იგი საძირკვლად დაედება ჩვენის თეატრის საქმეს და ყოველი ძველი მოძღვრება, როგორც, მაგალითად, გულგრილობა, როლების უცოდინარობა, სიზარმაცე, «სიცრუე» და «ინტრიგები», რომელთა «სეზონმაც» შარშან ისე კარგად ჩაიარა, უკუგდებულ იქნება ჩვენის სცენიდან, საცა მარტო და მხოლოდ საქმის გულწრფელს სიყვარულს და მოვალეობის პატიოსნურად ასრულებას უნდა ჰქონდეს ადგილი.

ცალკე მოთამაშეთაგან, რაღა თქმა უნდა, ვლ. მესხიშვილი მარკის (თუ მარკიზის?) როლში საუცხოვო სანახავი იყო. სიამოვნებით აღვიშნავთ, რომ მსახიობს დაჰბრუნებია ხმა, რომელსაც იგი თავისუფლად ხმარობს. მხარს უჭერდა მარკს მერციაც, რომლის დახასიათებისათვისაც საჭირო ღონისძიება, მაგ., სინაზე, ბუნებრივობა, გულ-წრფელი გადმოცემა გრძნობისა—ნ. ჩხეიძეს სავსებით მოეპოვება. ნერონის ამსრულებელს, კ. მესხს, რომელსაც მოუფიქრებია და გაუთვალისწინებია თითქმის ყოველი წვრილმანი ამ როლისა, საყვედურად ის ეთქმის, რომ ბუნებრივობა აკლია მისს თამაშს და თავისუფალი, ჩვეულებრივი გამოთქმა მისს ლაპარაკს.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ-ნმა ა. კარგარეთელმა შეგნებით და უნაკლულოდ შეასრულა ვერონიკას როლი, რამდენადაც კი ეს მას ძალუძს და ეხერხება. კ. შათირიშვილი ცოცხალი, ტიპიური გლახრიოძნი იყო, რაც არ ითქმის ფილოდემოსზედ (ა. იმედაშვილი), რომელსაც ვერ ეხერხებოდა მთვრალის კაცის დახასიათება; უნდა აღვნიშნოთ კიდევ მარილიანი თამაშობა ქ-ნ ნ. მესხისა, რომელსაც ჩვენ პირველად ვხედავთ სცენაზედ და რომელსაც სცენიური ნიჭი და გამოცდილება ეტყობოდა. დანარჩენებიც, როგორც ვთქვით, ხელს უწყობდნენ ანსამბლს, «პატრიციების» გარდა, მაგრამ ეს ხომ სენია ჩვენის «დემოკრატიულ» თეატრისა, საცა გრაფები, მარკიზები და ჰერცოგები, როგორღაც, ფეხს ვერ იკიდებენ.

—

**„ღალატი“ ქუთაისის სცენაზე.** 24 ოკდომბერს ქუთაისის დრამატიულმა დასმა, ვლ. მესხიშვილის გამგეობით, წარმოადგინა თ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა „ღალატი“. ამ პიესამ ძლიერ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. დაბადების პირველ დღიდგანვე. ბევრი დაიწერა, ბევრმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა და ამისათვის პიესის შინაარსზე, მის ავ-კარგიანობაზე არას ვიტყვი. მე შევეხები მხოლოდ მსახიობთა თამაშს და აღვნიშნავ ზოგიერთის ნაკლს და ღირსებას.

დავიწყოთ დასის დედოდგან,—ვლ. მესხიშვილიდგან. ბ. მესხიშვილი სულეიმანის როლს თამაშობდა; როგორც ყოველთვის, ისე დღესაც მშვენიერი იყო მისი შეგნებული და გონიერი თამაში.

ოთარ-ბეგის როლში ბევრჯერ გვინახავს ბ. გუნია, მაგრამ ამ დღეს ყველას გადააჭარბა. მშვენიერი იყო იმ დროს განსაკუთრებით, როცა ზეინაბის ქადაგება შესცვლის ოთარ-ბეგის მიმართულებას და სიტყვას აძლევს, რომ სამშობლოს დაცვას შესწირავს თავის თავს. ერთი რამ უნდა ვურჩიოთ ამ პატივცემულ მსახიობს: ქართული ენა იმითია კარგი და ადვილი შესასწავლი, რომ ხმის ასამაღლებელი სიტყვები არ გამოსჩანს ისე, როგორც სხვა ენებშია. ყოველს ქართულს სიტყვას ხმის ასამაღლებელი პირველ მარცვალზე აქვს და ამას ლაპარაკში ვერც კი შენიშნავთ. ბ. გუნიას კი ეს ჩვეულებად აქვს, ყველგან ლოღიკური ხმის ასამაღლებელი დაუსვას სიტყვებს, და არ შეგვიძლიან ეს ნაკლი არ აღვნიშნოთ, რადგან ქართველის ყურთასმენას ეს ძლიერ ეჩოთირება. ამასთან სიტყვების ბოლო ასოებს «ს და თ» ძლიერ აგრძელებს და ხშირად მის თამაშს შნოს უკარგავს...

ზეინაბის როლში ჩვენ პირველად ეფ. მესხი ვნახეთ და დღეს ქ. ნ. ჩხეიძე. უნდა მართალი მოგახსენოთ, რომ ამ ორ მსახიობ ქალთა თამაშში დიდი განსხვავება ვპოვეთ. არ ვიცი, ეგებ მიზეზი ის იყოს, რომ ქ. ეფ. მესხი პირველად იმ დროს ვნახე ამ როლში, როდესაც მთელის საქართველოს ყურადღება ამ როლის აღმსრულებელზედ იყო მიქცეული და ქ. ეფ. მესხმა, ამ ყურადღებით აღელვებულმა, როლის სუსტათ მცოდნემ, მაშინ ის შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ჩვენზე, როგორც დღეს ქ. ნინა ჩხეიძის ქალმა.

ჩვენის აზრით, როლის კარგად გაზეპირება და მისი გონიერად შეგნების გარდა, ამ შემთხვევაში მსახიობის თვითონ ბუნების, მის სულიერ გრძნობებს და ადამიანურ თვისებებსაც აქვს მნიშვნელობა. დედის ნაზის, კეთილშობილურ გრძნობებით გამთბარი, გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიყვარული შვილისადმი, სრულის სინამდვილით გადმოგვცა ქ. ნინა ჩხეიძემ, რადგან მისი სუსტი და მკრთალი ხმაც, ნაზი აგებულება და მოქნილ-მოთასმული ენაც სრულებით შეეხამებოდა ზეინაბის მშობლიურ გრძნობა-ხრუნვას თავის შვილისადმი. მთელი პიესა მწყობრათ და გრძნობიერათ ჩაატარა და მშვენიერი შთაბეჭდილებაც მოახდინა მაყურებლებზედ...

კარგი იყო რუქაია (ქ. მ. მდივანი), როგორც ყოველთვის, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, რომ ცოტას არ ჩქაროდეს და თვალების მოძრაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდეს...

გაიანეს როლში პირველად არ ვხედავთ ქ. დავითიშვილის ქალს და, როგორც ყოველთვის, ისე დღესაც მომხიბლველი იყო მისი მკვირცხლი, მალხაზი და სიცოცხლით სავსე თამაში, რომელსაც ხელს უწყობს მისი მშვენიერი გარეგნობაც. ბესოს როლში ვერ იყო თავის ადგილას ბ. აწყურელი. კომიკურ როლებისთვის გაჩენილი მსახიობი დღესაც კომიკურად იქცეოდა, სულ დაავიწყდა მისი ჭაღარა თმა და წლოვანება. იმის მოძრაობა 16 წლის ყმაწვილს მოგაგონებდათ. ეს ბესოს არ შეფერის. ის თუმც ოხუნჯობს, მაგრამ ამ ოხუნჯობაში, ამ სიცილ-სიმღერაში თავის სამშობლოს მდგომარეობაც აწუხებს და ტყვეებს სიმღერით აცნობებს სუმბათის და ორბელიანის მოშველებას, ის თუმცა მღერის, მაგრამ ამ სიმღერაში კვნესა-ოხვრა და ტირილი მეტათ მოისმის, ვინემ მხიარულება. ბ. აწყურელმა კი ისეთი ოხუნჯი და ლოთი ბესო დაგვიხატა, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია ქვეყნის ავ-კარგი, ოღონდ ის გამოთვრეს და გაძღეს. ამასთან ერთიც უნდა შევნიშნოთ: ეს რამდენჯერმე ვნახეთ „ღალატი“ სცენაზე და ყოველთვის ბესოს იღლიაში ფუთ-ნახევრიანი ტიკჭორა აქვს გაჩრილი. მაყურებელმა რომ არ იფიქროს, რომ ეს ტიკჭორა ცარიელია და არა ღვინით სავსეო, უმჯობესი იყო, რომ ან ტიკჭორა იყოს პატარა და ან დაჯდეს, ჩამოასხას და ისე მიაწოდოს, თორემ ამდენს ხანს ფუთ-ნახევრიანს ტიკჭორის იღლიით ტარება ყოვლად შეუძლებელია.

ერეკლეს როლში ბ. ხერხეულიძე, როგორც გვითხრეს, პირველად გამოვიდა და დაგვიხატა არამც თუ ეშხით და სიყვარულით გზა-კვალ დაბნეული ყმაწვილი კაცი, არამედ მაჭრით დამთვრალი მოქეიფე. ალაგ-ალაგ ისე ღელავდა, რომ ფეხზე ველარ დგებოდა და გული, გეგონებოდათ, აი აგერ ამოუვარდება ბუდიდგან და აი აგეროო. ალაგ კი სრულებითაც არა ეტყობოდა რა, მშვიდათ, წყნარად იდგა და გამოიყურებოდა, მაგრამ ეპატიება პირველად იყო სცენაზე.

საბა ბერის როლში კარგი იყო ბ. ზარდალიშვილი, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ მის თეთრ წვერ-ულვაშთან შეთანხმებულის ხმით ელაპარაკნა ხმა-ლაპარაკი და სიტყვების გამოთქმა ვაჟკაცური ჰქონდა და მის მოხუცებას არ შეეფერებოდა. უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ უფრო სუსტის, მოხუცებულის ხმით ელაპარაკნა. ერთსაც ვურჩევთ ბ. ზარდალიშვილს: სიტყვების გაპრტყელებას თავი დაანებოს და რაც შეიძლება ბუნებრივობა გაამეფოს მუსაიფის დროს. ნუ წარმოიდგენს, რომ ის არტისტია. იფიქროს, რომ თითქო მას შეჰხვდა ამ გვარი მუსაიფი და ისე ლაპარაკობს. კარგები იყვნენ ანანია (გამყრელიძე), მაიკო (გამყრელიძისა) და ისახარიც (ივანიძისა) თავიანთ როლებში. ხალხი ბლომათ დაესწრო წარმოდგენას.

თარხნის.

# ნ ა რ ე ვ ი

—

**უცნაური გამდელი.** ამას წინად ვარშავის საოლქო სასამართლოში ფრიად საყურადღებო საქმე გაარჩიეს. ერთს აღგილობრივს მკვიდრს ქ-ნ ლ—ს ორი ბავშვი ჰყოლია ტყუპები. ერთს მათგანს თვითონ აწოვებდა ძუძუს, ხოლო მეორეს—გამდელი, მარიანა ელერტი. დიდის ყურადღებას ძალაუნებურად იქცევდა ის გარემოება, რომ ბავშვი, რომელსაც გამდელი უვლიდა, დღითი დღე სჭკნებოდა, ილეოდა და თვალებ-ჩაცვივნული მეტად სამწუხარო სანახავს წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც მეორე ტყუპი ჯანსაღათ იყო და არაფერს არ იტკივებდა. ბავშვის ამ გვარ მდგომარეობას, რა თქმა უნდა, გამდელის უვარგისობით ხსნიდნენ და დღე ისე არ გაივლიდა, ქ-ნ ლ—ს არ გაეკიცხა და არ ეგინებინა გამდელი. გაუთავებელმა კიცხვა-გინებამ იქამდისინ მიიყვანა მარიანა, რომ ერთს მშვენიერს დღეს, როდესაც ქალბატონი შინ არ იმყოფებოდა, აიღო კარბოლის სიმჟავის ერთი კოვზი და კარგად მყოფს ბავშვს, რომელსაც ქ-ნი ლ. აწოვებდა ძუძუს, შიგ პირში ჩაასხა. ექიმების დახმარებით, ბავშვი მალე მოაბრუნეს და სიკვდილს გადაარჩინეს. სასამართლოში მარიანა თავს იმით იმართლებდა, რომ მინდოდა თავიდან ამეცილებინა ქალბატონის გაუთავებელი წყრომა და კარგად მყოფს ბავშვსაც სწორედ იმიტომ ჩავასხი კარბოლის სიმჟავე, რომ როგორმე დამესნეულებინა და მისი ჯანმრთელობა ჩემის გაზდილისათვის «დამედარებინაო». ექსპერტების გამოკვლევით, სწამლავი არ იყო მაინცა და მაინც საშიში, ისე რომ ბავშვს ბევრს არას დააკლებდა და სიკვდილს არ გამოიწვევდაო. სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, ბევრად შეუმსუბუქა გამდელ მარიანას სასჯელი და მხოლოდ 5 თვით დაპატიმრება მიუსაჯა; მაგრამ ქ-ნმა ლ. შერიგების სურვილი განაცხადა და სრულიად მიუტევა დანაშაული ამ უცნაურს გამდელს.

## „ივერიის“ ფოსტა“

—

**სიმონ კანდელაკს.** თქვენი მოთხრობა «გვიანდაა» დაიბეჭდება.

**კოტე ბრძოლს.** თქვენი სურათი „ომში მიმავალი“ ჯერ არ გადაგვითვალიერებია. ცოტა არ იყოს, საძნელოა მისი დაბეჭდვა.

**სენ-სიმონს.** თქვენს წერილსაც მალე დავბეჭდავთ.

**სოსიპატრეს.** თქვენი ეტიუდი «ჩემი დოდონა» (ასე მოვნათლეთ) მალე დაიბეჭდება. «გზაში»-კი, ლექსი პროზად, ჯერ არ განგვიხილავს.

# დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

## დილის დეპეშები.

27 ოკდომბერი.

**ვარშავა.** მობძანდნენ ლოვიჩს ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.). 25 ოკდომბერს ჩვენ ვესროდით ზარბაზნებს სოფელ კაედიაძს და ხიუტხაის სიმაღლეებსა. იაპონელებმა დასცალეს სიმაღლე და ერთი ნაწილი თხრილებისა. როცა ავიღეთ სოფელი ლანშანჯუ, იპოვეს ხუნხუზებისგან თავმოჭრილი ჩვენი უნტერ-ოფიცერი.

**ვოლჩინსკი.** ერობის კრებამ 8 დღეს გასტანა. საზოგადო სწავლებისა და ექიმობის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დამთავრდა. დაარსდა სასკოლო კომისია საზოგადო სწავლებისა. 35 სკოლა ორკლასიანად გადააკეთეს. დიდი ფული გადასდეს საბავშვო თავშესაფარისა, ყრუ-მუნჯთა სასწავლებისა, მსწავლებელთა შვილებისა, 9 საავადმყოფოთა წიგნსაცავთა და სამეურნო საკითხავებისა და საწყობებისათვის. ექიმი მიტროფანე კოზმას ძე პოპოვი 25 წელიწადია ემსახურება ვოლჩინის ერობას, ამისთანა ღვაწლისათვის საავადმყოფოს მისი სახელი დაარქვეს, დაჰკიდებენ მისს სურათს ქირურგიულ განყოფილებაში, გადასდეს 500 მანეთი პიროგოვის კამისიისათვის გასავრცელებლად ჰიგიენურის ცოდნისა, ასი მანეთი მიეცა პიროგოვის ექიმთა საზოგადოებას, გამოიცეს მისი თხზულებანი და იშუამდგომლონ, მიეცეს იმას მედიცინის დოქტორობის საპატიო ხარისხი. გამგეობის თავმჯდომარედ აარჩიეს სერგეი ზადონსკი.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.) გენერალი ლინევიჩი წავიდა გუძიაძს მთავარ სარდლის სანახავად.

**ჩიფუ.** (რეიტერი). იაპონელნი განუწყვეტლივ ესვრიან პორტ-არტურსა. ისე ხშირად ცვივა ყუმბარები, რომ რუსებმა ნავსადგურში მუშაობა შესწყვიტეს. თავისუფალი ჯარის-კაცნი და პოლიცია მეციხოვნეთ შეუერთდნენ. როგორც ჩინელნი, იუწყებიან ესე სამოც კაცამდე, რომელნიც სურსათის სიძვირეს გამოჰქცევიან 25 ოკდომბერს პორტ-არტურიდან, ამბობენ, უკანასკნელ იერიშის დროს ორთავე მხრივ იქნამდე ბევრი დახოცილან, რომ ჯარის კაცნი დამარხვას ვერ ასდიოდნენო. მთელი დღეობით ჰყრია გვამები მიწაზედ. ჩინელები ამბობენ, ოქროს მთაზე აგერ თვეა, თუ კიდევაც მეტი, რაც ზარბაზანი აღარ გაუსროლიათო. ფიქრობენ, რომ სამხედრო მასალა ნაკლებად აქვთ. ჩინური და ახალი ქალაქი თითქმის სულ დანგრეულია; ათასობით არის დაქცეული სახლები, რომელსაც შეშად ხმარობენ—ქალაქში მუდამ ცეცხლი ჩნდება. საქონლის საწყობები უცხოელებისა დაიწვა.

**ტოკიო.** (რეიტერი). 24 ოკდომბერს დილით ფორმოზაზე დიდი მიწის ძვრა იყო. დაინგრა 150 სახლამდე, დაიღუპა 75 კაცი.

**ტოკიო.** (რეიტერი). ხმაა, რომ იაპონელებმა სრულიად ჩაიჩუმეს ფორტები ერლუნშანი და სინუშანი პორტ-არტურში. იერიში უმთავრესად მიმართულია ეხლა იძუშანისაკენ.

**ნიუ-იორკი.** (რეიტერი). პრეზიდენტის არჩევანში მონაწილეობას იღებდა თოთხმეტი მილიონი კაცი.

**ვარშავა** 27 ოკდომბერი. სალამოთი ვარშავაზე გაიარა ლოვიჩიდან ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ.

## სალამოს დეპეშები.

27 ოკდომბერი

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობანი შორეულ აღმოსავლეთიდგან 27 ოკდომბერს არ მოსულა.

**ლოვიჩი,** 28 ოკდომბერი. ნაშუადღევის 2 საათზედ მოვიდა სამეფო მატარებელი. ხელმწიფეს რკინის გზის სადგურზედ შეეგებნენ ჯარების უფროსის თანაშემწე და ვარშავის გუბერნატორი. მცხოვრებნი სადღესასწაულოდ მორთულან და სიხარულით შეეგებნენ სათაყვანებელს მონარქს. მართლმადიდებელთა სამღვდელოებამ მის უდიდებულესობას ხატი მიართვა. ხელმწიფემ, დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ და სამეფო ამალამ ცხენებით ჩამოუარეს მოედანს, სადაც იყვნენ ჩამწკრივებულნი ჯარები, ბრძოლის ველზედ წასასვლელად მომზადებულია, ჯარმა ყოჩაღად გაიარა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე და დაიმსახურა სამეფო «მადლობა». ხელმწიფემ მიჰმართა ჯარის ნაწილებს მოწყალე სიტყვებითა და დალოცა ხატებით. გამომშვიდობება მეტად მხურვალე იყო. გაისმა დაუსრულებელი «ურა». პარადმა გასტანა 2-ნახევარ საათს. სალამოს 5 საათზედ სამეფო მატარებელი დაიძრა აღტაცებულის «ურათი». ჯარის კაცნი ხელმწიფესთან გამომშვიდობების დროს ქუდებს ხიშტებზედ აგებდნენ და მაღლა ისროდნენ. მისი უდიდებულესობა უმოწყალესად უპასუხებდა ჯარის კაცთ ვაგონიდგან გულითად ესალმებოდა. ვარშავის გუბერნატორის საუცხოვო განკარგულების წყალობით, ყველგან სრული წესიერება სუფევდა, თუმცა აურაცხელი ხალხი და გლეხობა იყო თავმოყრილი. ხელმწიფემ ლოვიჩის ღარიბ მცხოვრებთა სასარგებლოდ შესწირა 2,000 მანეთი და ჰბრძანა, განეთავისუფლებიათ მოსწავლე ახალგაზდობა მეცადინეობიდგან სამის დღით.

**დაძიაპუ,** (სააგ. საკ. კორ.). 25 ოკდომბერს ხელმწიფის მოადგილის შტაბის უფროსი გენ. ჟილინსკი ათვალიერებდა პირველ საარმიო კორპუსის პოზიციებს. გენერალს თან ახლდა და განმარტებას აძლევდა პირველ კორპუსის შტაბის უფროსი გენერალი ლაშკევიჩი. ნოვგოროდის გორკათან გენერლებსა და მათ მცირე ამალას მტერმა სროლა აუტეხა ბატარეიებიდგან, რომელიც გამართული ორ გვერდიან გორაკთან, სოფ. პუცაოვას მახლობლად. იაპონელთ 15 ყუმბარა გამოისროლეს, მაგრამ ამაოდ.

**პეტერბურგი.** ყუბანის მხრის უფროსი გენერალ ლეიტენანტი მალამა დანიშნულ იქმნა კავკასიის მთავარ-მართებლისა და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ.

**პორტ-საიდი.** 27 ოკდომბერი, (რეიტერი). ყოველ წუთს მოელიან ბალტიის ესკადრის კონტრ-ნაღმოსნებს. მთელის არხის ნაპირებამდე. ესკადრას ჯარები გააცილებს არხის გაცილებამდე, რათა თავს არავინ დაეცეს.

**ტიანძინი,** 27 ოკდ. (რეიტერი). სინმინტინიდგან იუწყებიან, რომ მუკდენის სამხრეთით, 10 მილის მანძილზედ, დიდი ბრძოლაა. რუსების მხრივ ბრძოლაში ჩარეულია მარცხენა ფრთა.—ამ ჟამად გოუბანძსა და სინმინტინს შუა 1,000 ხუნხუზი იმყოფება, რომელნიც აღმოსავლეთად მიდიან.

**ჩიფუ,** 27 ოკდ. (რეიტერი). როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, პორტ-არტურის უკანასკნელ იერიშის დროს დაზიანდა ვეფხის კუდზედ მდებარე ფორტები იზიუანი და მანტუშანი: როგორც ჰფიქრობენ, მეციხოვნეთა რიცხვი 9,000 კაცამდის დასულა. ამ ჟამად ქალაქში სასტიკი წესებია შემოღებული. სტესსელის დამოუკიდებელმა მთავარ-გამგეობამ მჭიდრო კავშირი ჩამოაგდო მცხოვრებთა შორის; ჩინელებიც კი, როგორც მამაკაცნი ისე დედაკაცნიც, დახმარებას უწევენ საავადმყოფოებს; ყველა ცდილობს როგორმე გამოიყენოს თავისი ძალ-ღონე და ნიჭი და მით მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს. ხუთის დღის წინად

ერთმა რუსის აფიცერმა, რომელიც ცინდაოში წავიდა გენერალი სტესსელის ოფიციალურ დეპეშებით, მოახერხა და ალყა გაარღვია. პორტ-არტურში 20 ოკდომბერს ცეცხლის გაჩენის მიზეზი ყუმბარა იყო, რომელიც პაიშახეს მთის ახლო მდებარე შენობას დაეცა. ყუმბარები ქალაქში დაცემის დროს ხოცავს დედაკაცებსა და იმათ. ვინც ბრძოლაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

**სუდის ნავთ სადგური, 27 ოკდ.** (რეიტერი) აქ მოვიდენ რუსის საბეგრო გემები «თავადი გორჩაკოვი» «ჩინეთი» და «ვორონეჟი», რომელთაც მოიტანეს ბალტიის ესკადრისათვის ქვა-ნახშირი. კონტრნაღმოსანი «ბედოვი», «ბრავი», «ბოდრი» და «ბუინი» მოჰხვდენ კრეისერს «სვეტლანას». გერმანიის საბარგო გემი კარდიფიდან მოვიდა. საფრანგეთის სადარაჯო გემი «კონდორი» დაბრუნდა.

**სტამბოლი, 27 ოკდ.** (რეიტერი). დღეს ბოსფორზე გაიარა თავისუფალ ფლოტის გემმა „ტამბოვმა“ და წავიდა ხმელეთ შუა ზღვისკენ.

**ჩიფუ, 27 ოკდ.** (რეიტერი). პორტ-არტურის უკანასკნელ იერიშის შესახებ დაწვრილებითი ცნობანი: იერიში დაიწყო 27 ოკდ. ყუმბარების დაშენით, მერე კი იაპონელებმა, მცირე ზარალის შემდეგ დაიჭირეს ერლუნგშანის სამხრეთისა და აღმოსავლეთის სიმაგრეები. იერიში ერლუნგშანის ფორტზედ განმეორდა, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნა. საშველად გაგზავნილი იყო ახალი ჯარი. ხელ-ჩართულ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა დაიჭირეს ხუთი თხრილი. ენით გამოუთქმელ ვაჟკაცობით იბრძოდა ჯარი. მებაირაღე რუსმა ხმლით თერთმეტი იაპონელი მოჰკლა. უკანასკნელ დღეებში იერიში მიმართული იყო ერლუნგშანისა და შანშუანის მახლობელ ფორტებზედ. მეციხოვნენი სდუმდნენ. ერლუნშანთან სასტიკი ბრძოლა მოხდა მაშინ, როცა იაპონელებმა თხრილები დაიჭირეს. რუსის ძლიერმა რაზმებმა გაპარვა მოახერხეს. ამას მოჰყვა საშინელი ბრძოლა. ტყვიის მფრქვევლები და თოფები ერთად დაუშინეს. იერიშით მიმსვლელნი ძლეულ იქმნენ, მაგრამ ციხის სანგრევ ზარბაზანთა ცეცხლმა გაანადგურა მომეტებული ნაწილი რუსის ქვეითა ჯარისა. გადარჩენილმა ნაწილმა ჯარისამ უმთავრეს ფორტისაკენ დაიწია. იაპონელებმა გაჰგზავნეს ახალი ჯარი და შეინარჩუნეს მნიშვნელოვანი პოზიციები, რომელთაც დაჭერასაც ისე აუარებელი მსხვერპლი შეალიეს რომ ალაგ-ალაგს მოკლულთა გვამები ერთ ნახერ მეტრის სიმაღლე გროვებად ეყარა. მეციხოვნენი რაზმს რაზმზედ ჰგზავნიან მტრის ურიცხვ ჯარის წინააღმდეგ. ერთხანს ერლუნგშანის მახლობლად მდებარე თხრილების უკან დაბრუნება მოახერხეს რუსებმა, მაგრამ მალე იძულებულნი იყვნენ ისევ მიეტოვებინათ, რადგან იაპონელთა ჯარის რიცხვი, შედარებით რუსის ჯართან, იმდენად დიდია, რომ თითო რუსზედ 50 იაპონელი მოდის. მეციხოვნე ჯარმა უფრო შაგნით დაიწია. გემები აღმოსავლეთის ბასეინში გადიყვანეს. 16 ოკდომბერს იაპონელებმა მიაღწიეს ერლუნგშანის დასავლეთ ფორტამდის და მიადგნენ ჩრდილოეთ ცინგუანშანის ფორტი თხრილს და შუაგულ ცინგუანშანის ფორტის გედლებს.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

26 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,85 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,25 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | $37{,}52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $6—7^1/_2\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $91^7/_8$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 416 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 318 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $266^1/_4$ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | $89^5/_8$ ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,**—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისის).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); ამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).


# განცხადებანი

## „ცოდნა“-ს
### წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

| | |
|---|---|
| დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრესტოლის ქაღალდზედ. | 60 კ. |
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა. | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული | 50 კ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. | 3— ,, |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| აბში აჩუკი აკაკისა | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) | 5 კ. |
| დათუნა გოცირეძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) | 5 კ. |
| სამი ზღაპარი | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი | 1—50 კ. |
| » » » პატარა. » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— ,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით | 3— ,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | „—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1—50 კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია | 2— ,, ,, |
| ისტორ. ისაბუთებ შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—50 კ. |
| დავით გურამიშვილი | 1— ,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. | ,,—40 კ. |

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

---

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.
(0—უ—1).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდების. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**განსაკუთრებითი ნაწარმოებია.**
(5—6—)

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხ** | **2.664.808 მან.** |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონების.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, დაწოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

---

## საუკეთესო სააგარაკო ადგილები
## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ხომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10